დანართი N3

კითხვარი კურსდამთავრებულებისთვის

რომელი საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეთ?	ბაკალავრიატი: 1. სამართალი; 2. საერთაშორისო სამართალი მაგისტრატურა: 1. სამართალი; 2. საერთაშორისო სამართალი
რომელ წელს დაასრულეთ პროგრამა?	

1.ხართ თუ არა დასაქმებული?

ა) კი ბ) არა

თუ კი, რამდენი ხანია, რაც დასაქმებული ხართ.

2.როგორ მოიპოვეთ ინფორმაცია თქვენი ვაკანსიის/ სამუშაო ადგილის შესახებ? (ინტერნეტით, გაზეთი, ტელევიზია, პირადი კავშირები, მეგობრების, "გადმობირება" და სხვა (ხაზი გაუსვით)

3.რა წესით მოხდა თქვენი შერჩევა ამ ვაკანსიის დაკავებისას?

(სტაჟირების შედეგად, გასაუბრებით, ტესტიტებით უნარ-ჩვევებში, ტესტირებით სამართლებრივ საკითხებში, რეკომენდაციის საფუძველზე და სხვა (ხაზი გაუსვით)

4.რა პრობლებები შეგხვდათ ამ ვაკანსიის დაკავებისას/სამუშაოს მოძებნისას?

(იყო თუ არა დამსაქმებლისგან წამოყენებული ისეთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა ან სპეციალური ცოდნა, ან სხვა მოთხოვნა, რაც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არ მიგიღიათ ან არ ყოფილა შემოთავაზებული, სხა სახის პრობლემები)

5.დღევანდელი შეფასებით, რამდენად ადექვატურად შეარჩიეთ თავდაპირველი პროფესია/სპეციალობა/სასწავლებელი? რამდენად კმაყოფილი ხართ ამ არჩევანით?

ა) სრულად ბ) ნაწილობრივ/შეზღუდულად გ) არ ვარ კმაყოფილი დ) მიჭირს პასუხის გაცემა

6.რამდენად უზრუნველყო თქვენს მიერ მიღებულმა განათლებამ ის მოთხოვნები, რაც აუცილებელია თქვენი სამსახურეობრივი საქმიანობის შესასრულებლად?

ა) სრულად ბ) ნაწილობრივ/შეზღუდულად გ) ვერ უზრუნველყო დ) მიჭირს პასუხის გაცემა

7. რა ცოდნა არ აღმოჩნდა საკმარისი თქვენს მიერ მიღებულ განათლებაში?

ა) თეორიული ცოდნა
ბ) პრაქტიკული უნარ-ჩვევები
გ) უცხო ენის ცოდნა
დ) პროფესიული უცხო ენის ცოდნა

დ) სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკურ ასპექტები
ე) სამართლებრივი წერა/დოკუმენტების პროექტების შედგენა
ვ) სხვა
(შეგიძლიათ მოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

8. თუ დაგჭირდათ დამატებითი განათლების მიღება? სად და რა ფორმით მიიღეთ ის? რა დრო და ფინანსები დაგჭირდათ გადამზადებისათვის?

9. რა აღმოჩნდა"ზედმეტი"/არასაჭირო თქვენს მიერ მიღებულ განათლებაში?

10. ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენ გაქვთ იმაზე მეტი ცოდნა ვიდრე ეს სჭირდება თქვენს სამსახურეობრივ საქმიანობას? თუ კი მაშინ რატომ ხართ დაკავებული ამ საქმიანობით და არა საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად?

11. გთხოვთ მოგვაწოდოთ რეკომენდაციები თუ როგორ შეიძლება (სასწავლო პროგრამაში შესატანი ცვლილებების შედეგად) გაიზარდოს შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა.

12. შეგიწყოთ თუ არა უნივერსიტეტმა ხელი დასაქმებაში, ან თუ არსებობს დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმები?